41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ხელვაჩაურელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ხელვაჩაურის მერობის კანდიდატისა და ხელვაჩაურის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ხელვაჩაურის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ხელვაჩაური და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ეკონომიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ადგილობრივი ბიუჯეტი

გასული წლების განმავლობაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს ხელვაჩაურის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 6 მლნ 930 ათასი ლარი იყო, 2021 წელს საპროგნოზოდ, 13 მლნ 786 ათასი ლარია. იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლები – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 12 მლნ 919 ათას ლარს შეადგენდა, 2021 წლისთვის 20,4 მლნ ლარია.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 2 პროექტი (ჯამურად 144 345 ლარი, თანამონაწილეობა 57 738 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 2 805 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 24 221 002 ლარი), რითაც 6 522-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. სტიქიით მიყენებული ზარალი ფერმერებს 3 044 590 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამით** დღეს მოქმედებს 8 კოოპერატივი (57 მეპაიე, კაპიტალი 8 425 ლარი). 2013-2021 წლებში, **შეღავათიანი აგროკრედიტით** 32-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 4 732 683 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 024 955 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** დაფინანსდა 2 პროექტი, (ჯამურად 81 051 ლარი, თანადაფინანსება 32 420 ლარი).

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 961 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 3 840 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

მეწარმეობის განვითარება

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 საწარმო (1 200 000 ლარი, დასაქმებულია 11 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 424 545 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 535 983 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 38 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 22, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 16 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.**

ენერგეტიკა

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, აჭარის რეგიონში 6 ჰიდროელექტროსადგური აშენდა (კინტრიშა ჰესი, ხელვაჩაური ჰესი 1, შუახევი ჰესი, სკურდიდი ჰესი, კირნათი ჰესი და სხალთა ჰესი). მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 269 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 817 მლნ კვტ/სთ, ჯამური ინვესტიცია 781 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის, ლიცენზირების ან კვლევის ეტაპზეა 6 ჰესი: კირნათი ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 51 მგვტ, 90 000 000 დოლარი; **სკურდიდი3 ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,45 მგვტ, 1,34 მლნ აშშ დოლარი; **სკურჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,98 მგვტ, 3,2 მლნ აშშ დოლარი; **გოგინაური ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 4,72 მგვტ, 5 420 000 აშშ დოლარი; **აკავრეთა ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ, 35 მლნ აშშ დოლარი; **შევაბური ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,96 მგვტ, 3 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 1** – დადგმ.სიმძლავრე 1.08 მგვტ, 1.66 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 2** – დადგმ. სიმძლავრე – 1.55 მგვტ, 2.1 მლნ.აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 3** – დადგმ.სიმძლავრე – 1.99 მგვტ, 2.7 მლნ აშშ დოლარი.

2013-2018 წლებში, ხელვაჩაურში, 5 867 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი,** რითაც მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2013-2020 წლებში **გაზიფიცირებულია,** ჯამურად, 9 946 აბონენტი. ხელისუფლების გეგმით, 2021-2024 წლებში, გაზიფიცირების სამუშაოები იგეგმება ხელვაჩაურის 11 სოფელში (მაჭახლისპირი, სინდიეთი, აჭარისაღმართი, ქვედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, მირვეთი, ქოქოლეთი, ზედა ჩხუტუნეთი, ქედქედი, ცხემლარა, ქვედა ქოქოლეთი – სულ 656 აბონენტი).

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტურისტული მარშრუტების კვლევისა და რესურსების ინვენტარიზაცია. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით, პროექტით **„ღვინის გზა“** განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

2015 წლიდან აჭარის ტურიზმისა და

კურორტების დეპარტამენტი აქტიურად ახორციელებს იდენტიფიცირებული მარშრუტების, საოჯახო სასტუმრო სახლებისა და ღვინის მარნების მარკირებას.

2018-2019 წლებში, **მაჭახელას ეროვნულ პარკში** მოეწყო და მარკირებულ იქნა ტურისტული ბილიკები (ხარჯი 24 231 ლარი). 2018 წელს კეთილმოეწყო ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის ეზო (42 649.39 ლარი). მოეწყო ორი მთის ბილიკი, რომელის აერთიანებს ქედის (დანდალო) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს (ორთაბათუმი, ყოროლისთავი). ბილიკი გადის მტირალას ეროვნულ პარკში. (დაფინანსებულია გაერო-სა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ, ასევე ხელვაჩაურის ადგილობრივი ბიუჯეტიდან).

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რეს-პუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

ხელვაჩაურში, 2013-2021 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით მოსახლეობაზე გაცემულია 42 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, **მაჭახელას ხეობაში,** განხორციელდა საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც ალტერნატიული საწვავის (თხილის ნაჭუჭი, ბიომასის ბრიკეტები, მზის გამათბობელი სისტემა) ტესტირებასა და შეშაზე მოთხოვნილების შემცირებას ითვალისწინებს.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს და** ამზადებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. უწყვეტად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, მუშავდება რეკომენდაციები პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 3 წყალპუნქტზე;

სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და

სოფელ გემურაულში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

შეფასების სისტემები; გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; ხელისუფლების გეგმით, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მლნ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

2022-2023 წლებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ხელვაჩაურში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 37 მლნ ლარამდე დაიხარჯა. მუნიციპალიტეტში აშენდა 31 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 ხიდს.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2021-2025 წლებში, ხელვაჩაურის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 31 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 5 460 ოჯახს **მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე** წვდომის საშუალება ექნება.

ხელისუფლების გეგმით, მუნიციპალიტეტის **წყალმომარაგების** გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 30,8 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. კერძოდ, ხელვაჩაურში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების პროექტები შემდეგ სოფლებში: ზედა ერგე, ქვედა ერგე, ზედა ჯოჭო, ქვედა ჯოჭო, კირნათი, კობალეთი (1123 ოჯახი).

2021-2022 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ ᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ �პᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ:

- სოფ. ნიკიტაურში, გელა ქავთარაძის სახლთან მისასვლელი საცალფეხო ხიდის მოწყობა – 27 900 ლ;
- სოფ. ქვედა ჯოჭოში, ქავთარაძეების დასახლებაში, საავტომობილო გზაზე ხიდის მოწყობა – 72 001 ლ;
- სოფ. ზანაქიძეებში (სატეხია), ფარტენაძეების, დიდმანიძეებისა და გურგენიძეების დასახლებაში, შიდა საავტომობილო ხიდის მოწყობა – 121 210 ლ;
- ამხანაგობის მხარდამჭერი პროგრამა (სახლის ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები) – 150 000 ლ;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, M-250 მარკიანი მზა სასაქონლო ბეტონის შესყიდვა – 927 000 ლ;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, სიმონეთში გარეგანათების მოწყობა – 12 000 ლ;
- სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრებთა სახლების მიმდ. ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა – 2 000 000 ლ;
- სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრებთა სახლების მიმდ. ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა – 1 000 000 ლ;
- სოფ. წინსვლაში (ჩელტა), ანანიძეების დასახლებაში, შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 146 656 ლ;
- სოფ. სამებაში (ჩელტა), ნაკაშიძეებისა და წილოსნების დასახლებაში, შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 138 694 ლ;
- სოფ. განთიადში, ედიშერ ჭაღალიძის სახლიდან მურმან დავითაძის სახლამდე შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 343 000 ლ;
- სოფ. ზედა ახალშენში დავითაძე-ცეცხლაძეების დასახლებაში, შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 210 842 ლ;
- სოფ. ახალშენში, ნოდარ დევაძის სახლიდან ნური დევაძის სახლამდე, საცალფეხო ბილიკის მოწყობა – 38 034 ლ;
- ახალსოფელში სასმელი წყლის რეაბილიტაცია (დაქსელვა) – 350 000 ლ;
- სოფ. სალიბაურში წყალმომარაგების მოწყობა – 150 000 ლ;
- მინისტადიონის მოწყობა (სოფ. ვარშალომიძეების უბანში) – 90 000 ლარი;
- ორი სოციალური სახლის მშენებლობა – 500 000 ლ;
- სოფ. ომბოლოში სასმელი წყლის ჭაბურღილის რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა – 253 661 ლ;
- სოფ. სამებაში, ცენტრალური გზიდან აფხაზავების მიმართულებით, შიდასასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები – 223 616 ლარი.

ზაზა დიასამიძე: „გავიმარჯვებთ და ვიბრძოლებთ, რომ ხელვაჩაურის ხვალინდელი დღე უკეთესი იყოს!“

ადრეული ასაკიდანვე გადაწყვიტა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა და პროფესიაც ამ მიზნის მისაღწევად აირჩია. წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროში, სხვადასხვა პოზიცია ეკავა. ხელვაჩაურში რაიონულ სამმართველოსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა. ბოლო პერიოდში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, დღეს კი, ხელვაჩაურის მერობისთვის იბრძვის.

„ქართული ოცნების“ კანდიდატს ხელვაჩაურთან ემოციური კავშირი აქვს – აქაა დაბადებული და გაზრდილი. ამბობს, რომ ხელვაჩაურელების გამოწვევებს კარგად იცნობს და ისიც იცის, გუნდთან ერთად მათ ღირსეულად როგორ უპასუხოს. ამბობს იმასაც, რომ მისი მთავარი მიზანი, ხელვაჩაურის უკეთესი ხვალინდელი დღის შექმნაა.

როგორ აპირებს ხელვაჩაურის განვითარებას და რა გზა განვლო მერობის კანდიდატობამდე? – ზაზა დიასამიძე ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპებისა და გადაწყვეტილებების შესახებ გულახდილად საუბრობს და ხელვაჩაურში გატარებულ ბავშვობასაც იხსენებს:

დაიბადა 1979 წლის 23 სექტემბერს, ხელვაჩაურის სოფელ მეჯინისყალში.

1994 წელს წარჩინებით დაამთავრა ხელვაჩაურის №1 საშუალო სკოლა.

1994-1999 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის დამოუკიდებელ ერთაშორის ინსტიტუტში „მეგობრობა“; სწავლის პერიოდშივე, 1997 წელს დაიწყო მუშაობა შსს სტრუქტურაში. 1999-2003 წლებში მუშაობდა შსს სხვადასხვა სტრუქტურაში. 2003–2004 წლებში დაინიშნა ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსად; 2004-2012 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში, 2016–2017 წლებში იყო შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს უფროსი;

2017-2018 წლებში იყო შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს უფროსი; 2018-2021 წლებში – შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს უფროსი; 2021 წლებში – აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– დავიბადე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯინისწყალში, მოსამსახურის ოჯახში. სამწუხაროდ, დედა 2 წლის ასაკში გარდამეცვალა. მამა, რევაზ დიასამიძე პროფესიით ეკონომისტი იყო. წლების განმავლობაში სარესტორნო საქმიანობას ეწეოდა. სამწუხაროდ, მამა 2004 წელს გარდაიცვალა, რაც ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო. მე და ჩემ დას, ბებია და ბაბუა გვზრდიდნენ. თუმცა, ჩვენს აღზრდაში უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენმა აღმზრდელმა დედამ, ნაზი შამილაძემ, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ და დღესაც დედას ვეძახი. ძალიან მშვიდი ბავშვი ვიყავი. საკმაოდ კარგად ვსწავლობდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა ჰუმანიტარული მეცნიერებები. ბავშვობაში ვერთობოდით ისე, როგორც 1990-იანების ბავშვები – კლასობანა, ფეხბურთი და ა.შ.

– ეკონომისტის შვილმა პროფესიად სამართალმცოდნეობა რატომ აირჩიეთ?

– სკოლა მეჯინისწყალში დავამთავრე, 1994 წელს. სამართალმცოდნეობასთან დაკავშირებით, დაახლოებით 20 წლის წინ დავწერე გაზეთში „პირისპირ“, როცა ძალიან ახალგაზრდამ შინაგან საქმეთა სამინისტროში დავიწყე მუშაობა. ბავშვობიდანვე ვიყავი სამართლიანი, პროფესიის არჩევაც ბავშვობაში მომხდარმა თავგადასავალმა განაპირობა. მას შემდეგ გამიჩნდა სურვილი, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლა და იურისტი გამოვსულიყავი. ფაქტობრივად, იმ ასაკიდანვე ავირჩიე პროფესია. პოლიციაში ძალიან ახალგაზრდამ დავიწყე მუშაობა. საკმაოდ წარმატებული პოზიციაც მეკავა. გულწრფელად რომ გითხრათ, სამართალმცოდნეობა ის პროფესიაა, რაზედაც დგას სახელმწიფო. შეიძლება ვიღაცას წარმოუდგენია, რომ სამართალმცოდნეობა მხოლოდ ადვოკატირებას მოიცავს, არადა, ეს ის პროფესიაა, რომელიც ქმნის ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს ყოველდღიურობას, მის ხვალინდელ დღეს და ზოგადად, სამართლიან სახელმწიფოს. არჩევანი არასდროს მინანია. არც ის მიფიქრია როდესმე, რომ სხვა სფეროში უკეთ მოვახდენდი საკუთარი თავის რეალიზებას. პირველი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სამსახური. პირველი ემოციები არასდროს დამავიწყდება. მაშინ უკვე სულ სხვა თვალით დავინახე რა არის სახელმწიფო და როგორი უნდა იყოს მისი მოწყობა. მიზერული ხელფასი მქონდა და იმასაც თვეობით ვერ ვიღებდი. ბათუმში ვმუშაობდი და სამსახურიდან ხელვაჩაურში ფეხით მიწევდა წასვლა. მიუხედავად სირთულეებისა, ყოველთვის ვიყავი მოტივირებული განვითარებაზე, წინსვლაზე, იმ მიზნის მიღწევაზე, რაც საკუთარ თავთან მქონდა დასახული.

– და რა იყო ეს მიზანი?

– ის, რომ ვყოფილიყავი ძალიან წარმატებული. მესახელებინა ჩემი მშობლები, ჩემი ოჯახი, კუთხე და ქვეყანა. გულწრფელად გეუბნებით, დღემდე ეს მიზანი მაქვს და დღემდე ასე მოვდივარ.

– შინაგან საქმეთა სამინისტროში არაერთი პოზიცია გეკავათ. ამ გადასახედიდან, თქვენი საქმიანობა ყველაზე ეფექტური კონკრეტულად სად იყო?

– ყველა ეტაპზე ჩემს მოვალეობას მაქსიმალურად პირნათლად ვასრულებდი და შესაბამისად, ყველა ეტაპი მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, გამოვყოფ ერთ პერიოდს – 1999 წლიდან აჭარის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობა მეკავა. უკვე პირველი სერიოზული წარმატება იყო. ძალიან მალე, ქალაქ ბათუმის საქალაქო სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსი გავხდი. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი მაშინ და ესეც ჩემთვის განსაკუთრებული წარმატება იყო.

– განსაკუთრებული სიამაყით ამ თანამდებობებზე ყოფნის დროს რა გადაწყვეტილება ან საქმე გახსენდებათ?

– აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში, არაერთი გახსნილი საქმე მახსენდება, არ გამოვყოფ რომელიმე კონკრეტულს, რადგან ყველა წარმატებული საქმე იყო და არ მინდა რომელიმე გამომრჩეს. მიხარია, რომ პოლიცია ქვეყანაში ხალხის სამსახურში დგას და ეფექტურად მუშაობს. დღეს პოლიციელს მეტი პირობა აქვს, რომ წარმატებული იყოს, ადვილად შეუძლია წარმოაჩინოს თავი, მოახდინოს თვითრეალიზება. დღეს ყველაფერი აქვს პოლიციელს, ტრანსპორტი თუ ტექნიკური საშუალებები, რაც იმ დროს, მე რომ მუშაობა დავიწყე, ფუფუნების საგნები იყო. ხელფასიც კი არ არსებობდა, მაგრამ არსებობდნენ ღირსეული, სამსახურზე შეყვარებული პოლიციელები.

– სამსახურზე შეყვარებული პოლიციელი თქვენც იყავით და შინაგან საქმეთა სამინისტროდან რატომ წამოხვედით?

– პირადი განცხადების საფუძველზე წამოვედი სამსახურიდან, მამის გარდაცვალების და ოჯახური მდგომარეობის გამო. რამდენიმე წლის შემდეგ დავბრუნდი იმავე სამსახურში, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და მმართველი გუნდის წევრი ვარ. „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი წარმატებული პროექტი შექმნა, თუნდაც ადამიანის უფლებების დაცვისათვის, ფართო არეალის გაზრდისთვის, თითოეული მოქალაქის თავისუფლებისთვის. ეს ის გუნდია, რომელსაც აქვს ამბიცია, მიზანი და შესაძლებლობა, შექმნას ხვალინდელი უკეთესი საქართველო. ეს ის გუნდია, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აძლევს შანსს, მოახდინოს თვითრეალიზება, რათა იყოს წარმატებული. ამიტომ ვდგავარ ამ გუნდის გვერდით. ჩემთვის, უდიდესი პატივია, რომ სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ გამომიცხადა ნდობა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად დამასახელა.

– თქვენი შეფასებით, გუნდმა არჩევანი თქვენზე რატომ შეაჩერა?

– ალბათ იმ უნარებისა და გამოცდილების გამო, რაც გამოვავლინე ჩემი მოღვაწეობის მანძილზე. ამის გარდა, იმოქმედა ალბათ იმ ოთხწლიანმა პერიოდმა, როცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რაიონული სამმართველოს უფროსად ვიმუშავე. ვიმეორებ, ეს მართლა დიდი პატივია და დარწმუნებული ვარ, რომ პირველივე ტურში, სწორად დაგეგმილი წინასაარჩევნო კამპანიით წარმატებას მივაღწევთ.

– სოფლის მეურნეობის სამინისტროში რა წარმატებას მიაღწიეთ და ეს მიმართულება, მნიშვნელოვნად ვითარდება ხელვაჩაურში?

– სოფლის მეურნეობა ის სფეროა, რომელიც განსაკუთრებულია ჩვენი რეგიონისთვის. სახელმწიფო ხალხს არაერთ ხელშემწყობ პროგრამას თუ ქვეპროგრამას სთავაზობს. მაგალითად, თხილის განვითარების, სასათბურე მეურნეობების, ლურჯი მოცვის, ღვინის პროგრამები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის განსაკუთრებულია. 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, დამუშავდა 2200 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი. აქ სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურების დათესვა ხდება, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, თითოეული ოჯახისთვის უმნიშვნელოვანესია. თევზის საკვების მინისაწარმოები გაიხსნა. სამინისტრო აქტიურად აწვდის მოსახლეობას ამ პროგრამების შესახებ ინფორმაციას და სარგებლობენ აღნიშნული პროგრამებით. სამინისტრო აქტიურად აწვდის მოსახლეობას ინფორმაციას დაგეგმილი პროგრამების შესახებ.

– სოფლის მეურნეობის გარდა, ხელვაჩაურს განვითარების რა პერსპექტივა აქვს?

– ხელვაჩაური ჩვენი ქვეყნის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილია, სადაც ტურისტული მიმართულება უნდა განვითარდეს. ჩვენი სავიზიტო ბარათი – მაჭახელას ხეობაა, რომელიც ტურისტების საყვარელი ადგილია. სამომავლოდ დაგეგმილია მაჭახლის ხეობის ტურისტული პოტენციალის გაზრდა, რომელზეც მუშაობა ახლაც მიმდინარეობს (დაცული ლანდშაფტი, ეთო სოფელი). ხელვაჩაურში არის ძალიან კარგი საპიკნიკე ადგილები, შესანიშნავი ბუნება, ჩანჩქერები, სარფის სანაპირო ზოლი, რომელიც უფრო უნდა განვავითაროთ, რადგან ტურისტული პოტენციალი აქ მართლაც დიდია. პანდემიამ ცოტა შეაფერხა ეს მიმართულება არა მხოლოდ ხელვაჩაურში და საქართველოში, არამედ მსოფლიოში. თუმცა, ხელისუფლებამ ამ გამოწვევას ეფექტურად უპასუხა.

– ხელვაჩაური რა გამოწვევის წინაშე დგას და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– ჩემი მთავარი გეგმა და დაპირებაა, რომ ხელვაჩაურს ჰქონდეს უკეთესი ხვალინდელი დღე. თითოეულ მოქალაქესთან მისვლა, მათი აზრის, იდეების გაზიარება და ერთობლივად დაგეგმვა იქნება ჩემი მიზანი. გამოწვევაა დღეს დასაქმება, სოციალური მდგომარეობა. გამარჯვების შემთხვევაში, სწორედ ეს იქნება ჩემთვის პრიორიტეტი. ვიზრუნებ თითოეულ მოქალაქეზე და მათ გვერდით დავუდგები. დარწმუნებული ვარ, ჩემი ხელვაჩაურელებიც დამიდგებიან გვერდით 2 ოქტომბერს და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მხარს დამიჭერენ.

– მათ შორის ქართველი მუსლიმებიც და ზოგადად, როგორი ურთიერთობა გაქვთ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან?

– ჩემი ურთიერთობა არ განისაზღვრება აღმსარებლობით. საქართველო სეკურალური ქვეყანაა, სადაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობენ. მათთან განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა მაქვს. თითოეულ მათ გამოწვევას სათანადოდ ვუპასუხებთ. ისინი ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები არიან და ხელვაჩაურის თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ჩემი მიზანი იქნება. რაც შეეხება მხარდაჭერას, ვფიქრობ, არჩევნებზე ისინიც მხარს დამიჭერენ. ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და ვიბრძოლებთ, რომ ხელვაჩაურის ხვალინდელი დღე უკეთესი იყოს!

ზაზა დიასამიძის თბილი და ტკბილი ოჯახი

2002 წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდაზე ერთი გოგო შენიშნა. გაიცნო და იმ დღესვე უგრძნო გულმა, რომ თამილა ჭურკვეიძე მისი მეუღლე გახდებოდა. ამიტომაც ამბობს, გავიცანი და გადაწყდა, რომ ცოლად შევირთავდიო.

ქალბატონი თამილა პროფესიით ქიმიკოს-ბიოლოგია. ამჟამად იუსტიციის სახლში მუშაობს და 2 შვილს ზრდის. 13 წლის ვიტალი და 9 წლის ვიქტორია კანდიდატის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები არიან. მათზე საუბრისას ემოცია ეძალება, რომლის სიტყვებით აღწერაც უჭირს.

ამაყობს, რომ შვილები ძალიან ნიჭიერი, გონიერი, შრომისმოყვარე და რაც მთავარია, ზრდილობიანი, კეთილი, კარგი ადამიანები არიან.

ვიტალი ფეხბურთის ფანია. თავადაც კარგად თამაშობდა, მაგრამ ფეხზე ტრავმის გამო, იძულებული გახდა საყვარელ სპორტზე უარი ეთქვა. დღეს მხოლოდ გულშემატკივრისა და მოყვარული ფეხბურთელის ამპლუაშია. და-ძმა არაჩვეულებრივად ცეკვავს და პანდემიამდე საზღვარგარეთ გასტროლზეც ხშირად უწევდათ წასვლა. ორივე კარგად უკრავს ფორტეპიანოზე. ვიქტორია აქტიური და ჭკვიანი ბავშვია. ვიქტორია „მამას გოგოა“ – ზაზა დიასამიძემ, უკვე 9 წელია დაამტკიცა თეორია, რომელსაც მანამდე სკეპტიკურად უყურებდა – გოგონები მამების გასაგიჟებლად იბადებიან. მხოლოდ ვიქტორიას შეუძლია თავის ჭკუაზე მატაროსო, – ხუმრობს.

როცა ვთხოვე, ოჯახი დაეხასიათებინა, პირველად ორი სიტყვა ამოუტივტივდა თავში – „თბილი და ტკბილი“. აქ მისი კომფორტის ზონაა, სადაც თავს მშვიდად გრძნობს და ბედნიერია. ხშირად „სალონურ საღამოებს“ მართავენ – სავარძელში მოკალათდებიან და ვიტალის სთხოვენ, პიანინოზე რაიმე ახალი მელოდია დაუკრას. ბიჭი ყოველთვის ასრულებს მშობლების თხოვნას. ძმას დაც მიბაძავს – მეც ვისწავლე ახალი მელოდია, მეც დაგიკრავთო, იტყვის და მიუსკუპდება პიანინოს. სანამ და-ძმა ინსტრუმენტთან ერთმანეთს ცვლის, სანამ დიასამიძეების თბილ და ტკბილ ოჯახში მუსიკის ჰანგები იფრქვევა, კანდიდატი მოგონებებშიც შეიძლება ჩაიძიროს. გაიხსენებს, რომ შეიძლება არავის ცხოვრებას შეესაბამება სიტყვა „ტკბილ-მწარე“ ისე, როგორც თავისას. გაიხსენებს, რომ სწორედ იმ დღეს, როცა ყველაზე ბედნიერი იყო, თავს დიდი ტრაგედია დაატყდა – მამა მისი ქორწილის მეორე დილას, მოულოდნელად გარდაიცვალა. გაიხსენებს ყველაზე რთულ პერიოდს, როცა საშინელი დეპრესია ჰქონდა, სამსახურიდანაც წამოვიდა და დარდს ებრძოდა. გაიხსენებს, რომ მაშინ, მისი დარდის გამზიარებელი ცხოვრების თანამგზავრი იყო. ადამიანი, რომელიც ყველა ეტაპზე მის გვერდითაა, ამხნევებს და აძლევს მოტივაციას. ასე იყო იმ დღესაც, როცა ტრადიცია არ დაარღვია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე „ოჯახური თათბირი“ მოაწყო და მეუღლეს „ქართული ოცნების“ შემოთავაზება გაანდო.

„შრომისმოყვარე ხარ, იმდენი იშრომე, ისეთი გამოცდილება მიიღე, შენი ერთ ადგილზე გაჩერება დანაშაულის ტოლფასი იქნება. უალტერნატივო გუნდისგან გაქვს შემოთავაზება, რომელიც გაძლევს შანსს, მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის ბევრი კარგი საქმე გააკეთო. ვფიქრობ, ეს შანსი უნდა გამოიყენო“, – მეუღლის ამ რჩევამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ სწორ გადაწყვეტილებას იღებდა.

შანსს აუცილებლად გამოიყენებს და ხელვაჩაურის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის იბრძოლებს. ბრძოლის დროს კი, ტრადიციულად, ერთადერთი დევიზი ექნება: „ისე ვიცხოვრო, არასდროს შევარცხვინო და წავწყმიდო მშობლების სული! ისე ვიცხოვრო, ოჯახმა ჩემით იამაყოს!“

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 54 875 419 ლარი, დაფინანსდა 110 722 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (3 530 984,4 ლარით 237 627 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 957 839 ლარით 63 620 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (32 074 121 ლარით 25 355 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (8 843 468 ლარით 9 400 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 758 360 ლარით 5 256 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 175 844 ლარით 3 241 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), **პროგრამით, 2017-2021 წლებში, ხელვაჩაურში დაფინანსდა 4 394 ბენეფიციარი (4 394 ლარი).** 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს 65%-დან 90.8%-მდე გაიზარდა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 351-მა პაციენტმა ისარგებლა სტაციონარული მკურნალობით** (790 070 ლარი), ხოლო ამბულატორიული მომსახურება ხელმისაწვდომია 7 627 პაციენტისთვის (573 659 ლარი). **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით.

2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 9 416-მა (536 471 ლ), მედიკამენტები – 1996-მა ორსულმა.

2012 წლის შემდეგ, **ხელვაჩაურის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ხელვაჩაურში**, 2013-2021 წლებში სულ 374 შემთხვევა 1 293 314 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს 55 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების რეაბილიტაცია/რემონტი/მოწყობა სოფლებში – სოფელი ხელვაჩაური (24 196 ლ), ფერიასამება (12 206 ლ), თხილნარი (28 898 ლ), აგარა (7 155 ლ), წინსვლა (6 852 ლ), აჭარისაღმართი (29 640 ლ), კაპრეშუმი (48 679 ლ), ორთაბათუმი (მედპუნქტი და ადმინისტრაციული შენობა – 113 679 ლ); სოფელ ახალშენში, საოჯახო მედიცინის ცენტრის რემონტი (63 609l), სოფელ სალიბაურში ამბულატორიის და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა (130 976 ლ), ახალსოფელში არსებული ამბულატორიის დემონტაჟი, ახალი ამბულატორიის და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა (227 223 ლ), ჭარნალში ამბულატორიის მშენებლობა (119 536 ლ).

2013 წელთან შედარებით, **თითქმის 10-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 791,6 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 81,7 ათასი ლარი იყო.

ხელვაჩაურში, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, 2012-2021 წლებში, განხორციელდა/ხორციელდება 13 მუნიციპალური პროგრამა. მათ შორის ეპილეფსიით დაავადებულ ბენეფიციართა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, დიალიზით მოსარგებლე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა, სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა, პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა, 0-დან-200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, მოვლის საჭიროების პირთა დახმარება, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის, პარკინსონით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისთვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.3032 წ. მდგომ.) 9568 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,2-ჯერ – 12 021 546 ლარიდან 26 293 392 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 167 917 953 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ხელვაჩაურში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 402 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 2,7-ჯერ – 558 507-დან 1 509 307 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 11 166 888 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1399 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 1,3-ჯერ – 2 406 ათასიდან 3216 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 22 431 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 2 682 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 1 839 ათასი ლარი, ბავშვებზე – 9 775 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ხელვაჩაურში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 3389 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5-ჯერ – 1 115 343-დან 6 096 216 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 41 498 046 ლარი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 652 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 286 216 ლარიდან 357 075 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 950 321 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 2 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 1 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი, მასში მცხოვრებ 1 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. 2013-2021 წლებში, ქვეყნის მასშტაბით, გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფოს მიერ 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დაკმაყოფილდა. 2013-2021 წლებში, 667 ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ხელვაჩაურში, დაფინანსებულია 34 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 177 500 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 59 100 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე – 3 653 510 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 1009 ოჯახი, 2021 წელს – 1209. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ხელვაჩაურში, 2020 წელს, ისარგებლა 378-მა ოჯახმა, 2021 წელს – 439-მ (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში პროგრამაში, 2020 წელს ჩაერთო 1 006 პირი, 2021 წელს – 1022 (ივნისის მდგომარეობით).

დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით **2,6-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1240,5 ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 483,9 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის მიერ, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში, განხორციელდა/ხორციელდება 9 პროგრამა. მათ შორის მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი და უდედმამო ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება, პირველ და მეორე ახალშობილზე 0-დან 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება, გაზიფიცირების პროგრამა 0-დან 100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის, მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედა/მამა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) მატერიალური დახმარება და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.



ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

ხელვაჩაურში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება (18 საბავშვო ბაღი). 2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელვაჩაურში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: თუ 2013 წელს განათლების სფეროს ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 1 მლნ 248 ათასი ლარით განისაზღვრა, 2020 წელს იმავე მაჩვენებელმა 4,1 მლნ ლარი შეადგინა. 2017-2021 წლებში სკოლამდელი განათლების დაფინანსება ყოველწლიურად 16% არის გაზრდილი.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. 2014-2016 წლებში, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციაზე სულ 3,9 მლნ ლარი დაიხარჯა, მათ შორის: 2014-2018 წლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა/რეაბილიტაციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში გაიხსნა 8 ახალი საბავშვო ბაღი (კირნათის, აჭარისწყლის, ჩიქუნეთის, მახოს, ახალსოფლის, მახინჯაურის, ფერიისა და ქედქედის); საბავშვო ბაღები აშენდა ხელვაჩაურსა (583 106 ლარი) და ორთაბათუმში (750 162 ლარი). მოეწყო ახალშენის ბაღის საწყობი (6 781 ლარი). **2019 წელი –** 2 საბავშვო ბაღის ეზო კეთილმოეწყო სათამაშო მოედნებითა და ატრაქციონებით; სოფელ ხელვაჩაურში აშენდა ახალი ბაღი, ხოლო არსებული შენობის რეაბილიტაციის შემდგომ, ორთაბათუმის არსებული ბაღი გადავიდა ახალ შენობაში; **2020 წელს –** 5 საბავშვო ბაღის ეზო კეთილმოეწყო სათამაშო მოედნებითა და ატრაქციონებით; სოფელ ახალშენის საბავშვო ბაღში ჩატარდა შუდასარემონტო სამუშაოები, მოეწყო საწყობი (6 ათასი ლარი); **მიმდინარეობს** სოფელ ახალშენის (ახალი) საბავშვო ბაღის მშენებლობა (2 მლნ 335,4 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ სკოლამდელი აღზრდის 18 დაწესებულებაში 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, **აღსაზრდელთა რაოდენობა** 1080-დან 2154-მდე გაიზარდა. 3,25 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, ამით გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების **კვების რაციონი.** მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 120 აღმზრდელ-პედაგოგი და 60 აღმზრდელი.

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 18 საბავშვო ბაღის 23 ჯგუფში, სადაც 659 აღსაზრდელი და 46 – აღმზრდელია. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს ყველა საბავშვო ბაღში. ასევე, ყველა საბავშვო ბაღი სარგებლობს **ფსიქოლოგის და ლოგოპედის მოსახურებით.** „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2018 წელს დაინერგა ახალი სტანდარტები და გაიზარდა საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ხელფასი. 2021 წელს კი ხელვაჩაურის საბავშვო ბაღებში **ხელფასები კიდევ 20%-ით გაიზარდა,** განხორციელდა ხელმძღვანელების, აღმზრდელებისა და მნეების გადამზადება სხვადასხვა მოდულებით. 2018 წლიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ხორციელდება აღსაზრდელთა **ტრანსპორტის მომსახურების პროგრამა,** რომლითაც 622 აღსაზრდელი სარგებლობს.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში არსებული 35 საჯარო სკოლა (მათ შორის 4 საჯარო სკოლა მთის სტატუსის ზონაში). სკოლებში 7 596 მოსწავლე (მათ შორის, მთის სტატუსის სოფლებში – 297 მოსწავლე), 891 მასწავლებელი (მათ შორის, 86 – მთის სკოლებში) და 36 სპეცმასწავლებელია (მთის სკოლაში -1); მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, ხელვაჩაურში იდენტიფიცირებულია 148 სსსმ მოსწავლე. ხელვაჩაურის საჯარო სკოლებში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 24 **მანდატური** იცავს.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის: 2013-2018 წლებში, **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით** გამოვლინდა 109 ოქროსა და 34 ვერცხლის მედალოსანი, ი. **საზაფხულო სკოლების** პროგრამაში, 2017-2019 წლებში, მონაწილეობდა 150 მოსწავლე; **ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებში** გამარჯვებულია 2, **სასკოლო კონკურსებში –** 2 მოსწავლე; **ეროვნულ ოლიმპიადებში** მონაწილეობა მიიღო 446-მა მოსწავლემ. **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 34 საჯარო სკოლის (179 მიმართულება) 3521 მოსწავლე სარგებლობს; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში. 2017-2019 წლებში, **პირველკლასელებს** 1999, **დამრიგებლებს** – 140, **წარჩინებულ მოსწავლეებს** კი 59 **კომპიუტერი გადაეცათ;** მუნიციპალიტეტის 5 სკოლაში **დანერგილია** მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემა, **ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების სისტემა;** 2017-2020 წლებში, ხელვაჩაურში 1 180 **სასკოლო ჟურნალი** და 36 497 **სახელმძღვანელო** დარიგდა; 2018 წელს მუნიციპალიტეტის 12 სკოლა აღიჭურვა **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით;** 2018-2019 წლებში, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით უზრუნველსაყოფად** განხორციელდა 65 პროექტი; **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

2014-2021 წლებში, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროგრამებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა: ზედა განთიადის საჯარო სკოლის სახურავის მოწყობა (97,3 ათასი ლარი), ფერიის საჯარო სკოლის მიშენების სამუშაოები (104,5 ათასი ლარი), ჩიქუნეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (476,7 ათასი ლარი), ზედა სამების საჯარო სკოლის სახურავის მოწყობა (43,1 ათასი ლარი), სალიბაურის საჯარო სკოლის შენობის საყრდენი კედლისა და ღობის მოწყობა (692,3 ათასი ლარი), ქვედა სამების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (523 ათასი ლარი); ზედა ჭარნალის საჯარო სკოლის მშენებლობა (470 ათასი ლარი), ზედა განთიადის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (280,4 ათასი ლარი); ახალშენის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (32,9 ათასი ლარი), სალიბაურის №1 საჯარო სკოლის მშენებლობა (182,9 ათასი ლარი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით, ინტერნეტით აღიჭურვა 11 სკოლა: ზემო წინსვლის, სალიბაურის №1, ფერიის, ჩიქუნეთის, ზედა განთიადის, კაპრეშუმის, ჩხუტუნეთის, სარფის, წინსვლის, ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა;

საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარების პროგრამით – 32 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო ქართველი და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი და სხვა სახის ლიტერატურით (სულ – 12800 წიგნი). **მათ შორის:** ხელვაჩაურის №1, ზემო წინსვლის, აჭარისწყლის, სალიბაურის №1 და №2, მახინჯაურის, ჩაისუბნის, წინსვლის, თხილნარის №1, №2, ზედა თხილნარის, ახალშენის №1, ქვედა ახალშენის, ფერიის, ერგეს, მახოს, კაპრეშუმის, სარფის, ჩხუტუნეთის, ჩიქუნეთის ყოროლისთავის ქედქედის, განთიადის ჯოჭოს, ქვედა მახოსა და ჭარნალის; 4 სკოლა ასევე უზრუნველყოფილია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიით (წინსვლის, სარფის, თხილნარის №1 და მახოს), 8 სკოლაში შეტანილია სპორტული ინვენტარი (ხელვაჩაურის №1, სალიბაურის №1, თხილნარის №1, ჭარნალის განთიადის, მახოს, ქედქედის, ფერიის), 4 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორიით (მახინჯაურის, კაპრეშუმის, ახალშენის №1, სალიბაურის №2 2017 წელს აშენდა კაპრეშუმის სკოლა (902 ათასი ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდა თხილნარის №2 (95,9 ათასი ლარი) და ზედა ჩხუტუნეთის (344,5 ათასი ლარი) სკოლებს.

2018 წელს – აშენდა სარფის სკოლა (1758,9 ათასი ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჩხუტუნეთის (149 ათასი ლარი), ზემო წინსვლის (49 ათასი ლარი) სკოლებს. 2018 წელს **დასრულდა** სოფელ შარაბიძეებში დაწყებითი სკოლის **მშენებლობა** (62 393 ლარი); სოფელ ავგიაში **აშენდა დაწყებითი სკოლა** – 169, 5 ათასი ლარი;

2019 წელს – რეაბილიტაცია ჩაუტარდა ახალშენის №1 (223 ათასი ლარი), ქვემო მახოს (39 ათასი ლარი), წინსვლის (29 ათასი ლარი) და ახალსოფლის (110 ათასი ლარი) სკოლებს.

2020 წელს – განხორციელდა ზემო ახალშენის (100 ათასი ლარი) და ჯოჭოს (58 ათასი ლარი) სკოლების სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამავე წელს, **სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლებში** – რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერგეს, ჭარნალის, ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებს, რაზეც სულ 178,1 ათასი ლარი დაიხარჯა; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზს.

2021 წელს დასრულდება ფერიის (3444,4 ათასი ლარი) და ქედქედის (1850 ათასი ლარი) სკოლების მშენებლობა; მახოს სპორტული დარბაზის მშენებლობა და სკოლის რეაბილიტაცია. **სასკოლო კლუბების ხელშეწყობა** დაფინანსდა: ახალშენის №1 საჯარო სკოლის კლუბი „მხიარული მატარებელი“, ფერიის საჯარო სკოლის კლუბი „სოციოპანორამა“, განთიადის საჯაროსკოლის კლუბი „მნათობი“, მახოს საჯაროს კოლის კლუბი „მოსწავლეები შშმ პირთათვის“ და ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლის კლუბი „ბუნების ქომაგნი“; სკოლებში სპორტის განვითარების ხელშესაწყობად რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერგესა და ჭარნალის საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებს, რაზეც სულ 118,1 ათასი ლარი დაიხარჯა; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზს.

2019 წელს 3 საჯარო სკოლას გადაეცა სასკოლო დაფები. 2 საჯარო სკოლას გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა. 2020 წელს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 23 ადაპტირებული საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობა დამონტაჟდა 36 სკოლაში;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, 2013-2017 წლებში, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის 9 დაწყებით სკოლას (ქვედა მახოს, ნაკირნათევის, ჩელტას, ზედა განახლების, განახლების, მწვანე კონცხის, სამების, ნაკირნათევისა და კირნათის), რაზეც სულ 484,9 ათასი ლარი დაიხარჯა.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

2015 წელს, პირველად მუნიციპალიტეტის მასშტაბით, განხორციელდა **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა,** რომლის ფარგლებშიც შესაბამისი კრიტერიუმის საფუძველზე, (91 და მეტი ქულის მქონე სტუდენტის სემესტრული წახალისება) გაიცემა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისათვის სემესტრული დაფინანსება (ჯილდო 500 ლ). 2015 წელს, მეორე სემესტრის შედეგების შესაბამისად, პროგრამაში მონაწილეობდა – 35 , 2016 წელს – 39, 2017 წელს – 43, 2018 წელს – 34 სტუდენტი – თითოეულზე, საშუალოდ, 400-დან 500 ლარამდე გაიცა. სულ 2015-2018 წლებში, ხელვაჩაურში რეგისტრირებული სტუდენტებისთვის, გამოიყო 105 ათასი ლარი. დაფინანსდა ასევე 3 შშმ პირი სტუდენტის სწავლის საფასური.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამით სტუდენტების (მათ შორის შშმ პირი სტუდენტების) სწავლის საფასურის დასაფარად გათვალისწინებულია **2020 წელს – 40 ათასი ლარი (ორივე სემესტრში 54 სტუდენტი),** ხოლო **2021 წლისთვის – 45 ათასი ლარი;**

მაღალმთიანი სტატუსის მქონე სკოლების კურსდამთავრებულთა გარდა, ფინანსდებიან ობოლი, უდედმამო სტუდენტები. ასევე, სტუდენტები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი, მარტოხელა სტატუსის მქონე ოჯახებიდან და შშმ პირები.

ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით, 2018 წელს სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 899 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი – 962 200 ლარი; **2019 წელი –** დაფინანსდა 891 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი – 950 400 ლარი; **2020 წელი –** დაფინანსდა 715 სტუდენტი – 758 314 ლარი; **2021 წელი –** დაფინანსდება 1280 სტუდენტი – 1 390 000 ლარი. **2022–2024 წლებში ქვეპროგრამა გაგრძელდება ყოველწლიური ბიუჯეტით 1 000 000 ლარი.**

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- 2022-2025 წლებში იგეგმება ახალშენისა და ერგეს საბავშვო ბაღების მშენებლობა და ხელვაჩაურის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ხელვაჩაურში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის
- მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის-ტრენინგკურსებში;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- გაგრძელდება უმაღლესი განათლების, სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსება, რომელსაც შეემატება სხვადასხვა კომპონენტი, ისეთი როგორიცაა სტუდენტების ანაზღაურებადი სტაჟირება და ა.შ.
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ: სარფის ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმი, მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელვაჩაურის ბიბლიოთეკა, ახალგაზრდობის ცენტრი, თოჯინების სახალხო თეატრი, ფოლკლორული ანსამბლი „ათძალი", უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი „მაჭახელა", ფოლკლორული ანსამბლი „კოლხა", ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხეთი", ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი, აჭარისწყლის კულტურის სახლი, ახალშენის კულტურის სახლი, თხილნარის კულტურის სახლი, ორთაბათუმის კულტურის სახლი, 12 სასოფლო კლუბი, ახალშენის სახელოვნებო სკოლა, მახინჯაურის სახელოვნებო სკოლა და ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა.

2017-2018 წლებში დაფინანსება კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული სფეროების მიხედვით ზრდადია. 2019-2020 წლებში პანდემიიდან გამომდინარე შემცირდა. 2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს **დაფინანსება.** 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები 1 მლნ 71,4 ათასი ლარი იყო, 2020 წელს შესაბამისმა მაჩვენებელმა 858 668 ლარი შეადგინა.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართებოდა სახალხო დღესასწაულები („კოლხობა", „მაჭახელობა და სხვ.), კონკურსები და კონფერენციები, იდგმებოდა ახალგაზრდობის ცენტრისა და თოჯინების თეატრის სპექტაკლები, ეწყობოდა მნიშვნელოვანი თარიღებისა და ცნობილი პიროვნებების მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

2017-2021 წლებში კულტურულ-საგანამანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებისთვის, საერთო ჯამში, 288, 5 ათასი ლარი გამოიყო.

2020 წელს კულტურულ-საგანამანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებისთვის (ისტორიული მნიშვნელობის თარიღების, სახალხლო დღესასწაულების, საერთაშორისო დღეების, ღვაწლმოსილი მუშაკების დაჯილდოების, სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მოსწავლეთათვის შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება და ჩატარების უზრუნველყოფა) – გამოიყო 86 000 ლარი.

2020 წელს – სარფის მუზეუმი ჩართული იყო აჭარის ტელევიზიის მიერ განხორციელებულ პროექტში „იარე მუზეუმში"; განხორციელდა ონლაინ ჩართვა ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის მეექვსე კლასთან. თემა: „ლაზურ– ეთნოგრაფიული მუზეუმის შესახებ". მუზეუმების კვირეულთან დაკავშირებით დისტანციურად ჩატარდა შეხვედრა მარინისტი მხატვრის ხასან ჰელიმიშის შესახებ ინკლუზიური სწავლების ცენტრთან. სარფის ლაზურ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში აქცია „ღამე მუზეუმში" გაიმართა. აქციის თემა – „მრავალფეროვნება და ინკლუზია".

2021 წელს – მუზეუმის კვირეულის ფარგლებში, 18 მაისს **სარფის ლაზურ ეთნოგრაფიულ მუზეუმში,** ICOM-ის მიერ დაანონსებული თემის ირგვლივ გაიმართა დისკუსია „მუზეუმების მომავალი: აღდგენა და გარდასახვა" . UNESCO-ს გადაწყვეტილებით, თბილისი 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოცხადდა. სამუზეუმო განყოფილების მიერ დაგეგმილი კვირეულის ფარგლებში, სწორედ ამ ფაქტს მიეძღვნა სარფის ლაზურ ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამართული ღონისძიება.

მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სამუზეუმო განყოფილების მიერ დაგეგმილ მუზეუმის კვირეულის ფარგლებში, ჩატარდა აქტივობა „ღამე მუზეუმში". ონლაინ ჩართვა განხორციელდა ინკლუზიური სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან, ერთი დღე რეინჯერთან. წლის განმავლობაში დაგეგმილია შეხვედრა ინკლუზიური სწავლების ცენტრის მოსწავლეებთან.

ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ ბიბლიოთეკაში იმართება ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვადასხვა მწერლის შემოქმედებითი საღამოები.

თოჯინების სახალხო თეატრმა გასვლითი წარმოდგენები გამართა საბავშვო ბაღებში; მონაწილეობა მიიღო თოჯინების თეატრის ფესტივალზე ქობულეთში; ბავშვებისთვის ონლაინ ჩატარდა ზღაპრის საათები. თეატრი მუდმივად მუშაობს რეპერტუარის გაფართოებაზე.

მუნიციპალიტეტებში არსებულ **კულტურის სახლებში** იმართება სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები. მათ შორის, საახალწლო და ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი და ფოლკლორული ღონისძიებები, ასევე, შეხვედრები სოფლის უხუცესებთან. **ფოლკლორული ანსამბლები** მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში. **ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის** (მახინჯაურისა და ახალშენის სტრუქტურული ერთეულები) წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ კლასიკური მუსიკის კონკურსებში.

2014-2021 წლებში კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტებზე სულ 1 მლნ 51,9 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის განხორციელდა:

2014 წელი – აჭარისაღმართში, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია;

2016 წელი – ახალშენის მუსიკალური სკოლისა და კულტურის სახლის რეკონსტრუქცია, ხელვაჩაურში, გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული კულტურის სახლის რეკონსტრუქცია, ჩიქუნეთისა და ქედქედის სასოფლო კლუბის სახურავისა და შენობის რემონტი;

2017 წელი – სოფელ მირვეთში მოეწყო საპიკნიკე სივრცე (8,58 ათასი ლარი);

2018 წელი – დასრულდა ახალშენის მუსიკალური სკოლის და კულტურის სახლის რეკონსტრუქცია.

2019 წელი – ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული კულტურის სახლის რეკონსტრუქცია.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განახორციელდა: გონიოს ციხე, წმინდა მატათას საფლავის მოწყობის სამუშაოები (40 ათასი ლარი, 2014-2015 წ.წ.); თხილნარის, სარფისა და სკურდიდის არქეოლოგია (21, 2 ათასი ლარი, 2016 წ.).

2021 წელს დაიწყო და დასრულდება გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთ ფასადზე მდებარე კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (მე-11 კოშკი) – 47 ათასი ლარი. სამუშაოებს აფინანსებს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.

აჭარის ა/რ მასშტაბით, მათ შორის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი **„დასავლეთ საქართველოს ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები"** (32 315 ლარი). **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ფარავს ევროპის საბჭოს „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში" და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტი „წმ. ანდრიას გზა",** რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სასპორტო სკოლა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ფეხბურთი, მშვილდოსნობა, ძიუდო, კიკბოქსინგი, ძალოსნობა, ჭადრაკი, ხელბურთი, ჩოგბურთი და კალათბურთი.

ხელვაჩაურის **სასპორტო სკოლაში,** 2020 წლის მონაცემებით, ირიცხება 385 მოსწავლე და 29 მწვრთნელი. ხელვაჩაურის სოფელ ახალსოფელში არსებულ **საფეხბურთო კლუბში** გაერთიანებულია 116 სპორტსმენი და 7 მწვრთნელი.

2017-2021 წლებში სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყო 289, 9 ათასი ლარი;

2018-2020 წლები – ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული (ყოველწლიური ღონისძიება); აღინიშნა საერთაშორისო დღე „სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის".

2020 წელს სპორტული ღონისძიებები (საჯარო სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრებები, ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები, სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირზე) დაფინანსდა 98 ათასი ლარი.

ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 11 სპორტულ ღონისძიებაში და 47 მედალი მოიპოვეს. I ადგილს დაეუფლა 19 სპორტსმენი, II ადგილზე გავიდა 21 სპორტსმენი, შვიდმა სპორტსმენმა

ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი

კი III საპრიზო ადგილი დაიკავა. **2021 წელს** გეგმით გათვალისწინებულია 35 ღონისძიებაში მონაწილეობა.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: 2014 წელი – ხელვაჩაურში სპორტული კომპლექსის მოწყობა და ინვენტარის შეძენა (455,2 ათასი ლარი); **2015 წელი** – ხელვაჩაურში სპორტული დარბაზის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულება და ტერიტორიის კეთილმოწყობის მეორე ეტაპის მეორე ნაწილი (651,9 ათასი ლარი); ქვედა სამებაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა (23,5 ათასი ლარი); ახალსოფელში სტანდარტული მინი სპორტული მოედნის მოწყობა (79,3 ათასი ლარი); **2016 წელი** – ხელვაჩაურში სპორტული კომპლექსის მოწყობა და ინვენტარის შეძენა (15 ათასი ლარი); ერგეს ცენტრში არსებული სპორტული მოედნის შეკეთება (48,5 ათასი ლარი); მახოში საჭიდაო დარბაზის კეთილმოწყობა (19,2 ათასი ლარი); ზედა ჯოჭოში სპორტული მოედნის კეთილმოწყობა (49,3 ათასი ლარი); ორთაბათუმში მინი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია (38,2 ათასი ლარი); ზანაქიძეებში მინი საფეხბურთო მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია (101,1 ათასი ლარი).

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 1 საერთაშორისო ტურნირი (3,2 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობაც დააფინანსა (14,4 ათასი ლარი).

2017 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა სოფ. ახალშენის კულტურის სახლთან არსებულ მინისტადიონის – 21 562 ლარი; სოფელ ჩელტაში მოეწყო მინი მოედანი – 68 147 ლარი; თხილნარის მეურნეობაში, მახსა და ჯიბინაურში რეაბილიტირდა და მოეწყო მინი სპორტული მოედნები (ჯამურად 78 519 ლარი); აჭარისწყლის ცენტრში მოეწყო საფეხბურთო მოედნის – 223 ათასი ლარი; ჩელტაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა – 84,3 ათასი ლარი;

დასრულდა ახალშენის მეურნეობაში მინი საფეხბურთო მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (77 ათასი ლარი); განხორციელდა ახალსოფლის სპორტული დარბაზის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია (101,3 ათასი ლარი); კეთილმოეწყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ჭარნალის მეურნეობის ცენტრი და მოეწყო მინი სპორტული მოედანი (154 752 ლარი);

მიმდინარეობს – სოფელ ახალსოფელში კომენდატურასთან არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია – 67,121 ლარი; სოფელ ერგეში მინი მოედნის რემონტი – 84 862 ლარი; **დაგეგმილია** მახოს მოედნის მოწყობა – 151709 ლარი; მინი სტადიონის მოწყობა (სოფელ ვარშალომიძეების უბანში) – 90 000 ლარი.

ახალგაზრდული პოლიტიკა

ხელვაჩაურში მცხოვრები ახალგაზრდების წახალისებისა და მათი არაფორმალური განვითარების ხელშესაწყობად, მუნიციპალიტეტში 2012 წლიდან ფუნქციონირებს **ახალგაზრდობის ცენტრი,** სადაც ხორციელდება არაერთი ღონისძიება. ასევე ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის კლუბები (კითხვის, კინო, მოხალისეობის, ტურიზმის, ინტელექტუალური). ფუნქციონირებს ინგლისური ენის კლუბი, რომელსაც ამერიკელი მოხალისე უძღვება. ცენტრში თავმოყრილია 800-მდე თანამედროვე და მსოფლიო ლიტერატურა, რაც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მეტი ინფორმაცია. **ახალგაზრდობის ცენტრის ბიუჯეტი 2012 წელს 6500 ლარი იყო, ხოლო 2020 წელს 10 ათასი ლარი შეადგინა.**

2017-2021 წლებში, ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყო 212 ათასი ლარი; ახალგაზრდობის სფეროში სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. 2020 წელს ახალგაზრდული ღონისძიებები (სკოლისგარეშე განათლების პოპულარიზაცია, საჯარო შეხვედრები, სემინარები და კონფერენციები) 45 ათასი ლარით დაფინანსდა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2017-2019 წლებში, ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობა 15%-ით გაიზარდა. **2020-2021 წლებში ცენტრი დისტანციური მუშაობის რეჟიმში გადავიდა.**

აჭარის ა/რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა განახორციელა: ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამა – 2014-2018 წლებში, ყოველწლიურად ხორციელდებოდა 7 ღონისძიება (წელიწადში 3800-მდე ახალგაზრდა, ბიუჯეტი 380 000 ლარი): ფორუმი „რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი“, „ახალგაზრდობის კლუბების მხარდაჭერა (ჩატარდა 5 სახეობაში: ლიტერატურული კლუბი, სადისკუსიო კლუბი, გამომგონებელთა კლუბი, ხელოვანთა კლუბი და შშმ პირთა ჩართულობის კლუბი, ყოველწლიურად ჯამში 44 აქტივობა), ინტელექტუალური თამაშები, ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი, ლიდერთა სკოლა, „მხიარული რეგიონი“.

2019 წელს შეიქმნა სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან აღნიშნული მიმართულება გადავიდა ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრში. ექვსივე მუნიციპალიტეტთან ერთად, ხელვაჩაურსაც მინიჭებული აქვს კვოტები. სს(ი)პ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს: არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 483 000 ლარი). ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 166 450 ლარი), კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა (ბიუჯეტი – 219 700 ლარი), ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 184 000 ლარი), სტრატეგიული დაგეგმარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 65 000 ლარი).

2020 წელს ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, სსიპ ახალგაზრდობის რეგიონულმა ცენტრმა განახორციელა შემდეგი პროგრამები: არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 113 310 ლარი), ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 170 054 ლარი) და ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 90 103 ლარი).

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2022-2025 წლებში კულტურულ-საგანამათლებლო პროგრამების, ღვაწლმოსილი მუშაკების დაჯილდოებისა და ახალი იდეების დასაფინანსებლად, საერთო ჯამში, გათვალისწინებულია 280 ათასი ლარი;
- 2021 წელს დაგეგმილია გვარას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა – 50 000 ლარი; შესყიდვას ახორციელებს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
- 2022 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქვედა ჩხუტუნეში მდებარე ცხემლარას საწნახელსა და მარანს. სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შეძენილი იქნა 2021 წელს.
- 2023-2025 წლებში ყოველწლიურად განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და პროექტის შესაბამისად რეაბილიტაცია. სულ 240 ათასი ლარი (ყოველწლიურად 80 ათასი ლარი).
- კულტურის სამინისტრო მუნიციპალიტეტში განახორციელებს პროექტებს: აჭარის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია – 36 ობიექტის შესწავლა. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა 7 ობიექტს (1,7 ათასი ლარი, 2017); აჭარის არქეოლოგიური კვლევა (60 ათასი ლარი, 2018-2021);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- სპორტული ღონისძიებების დასაფინასებლად (საჯარო სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრებები, ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები, სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირზე) გათვალისწინებულია 300 ათასი ლარი;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია: დაგეგმილია სარფისა (ღირებულება 83,382 ლარი) და მახოს (ღირებულება 35,950 ლარი) სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.
- გაგრძელდება უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამა;
- გაგრძელდება მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა (91 და მეტი ქულის მქონე სტუდენტის სემესტრული წახალისება), ასევე შშმ პირი სტუდენტის სწავლის საფასურის დაფარვა – 210 ათასი ლარი;
- ხელი შეეწყობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები;
- 2021-2025 წლებში იგეგმება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა და მასში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა.
- იგეგმება ახალგაზრდების აქტიურად ჩართულობა და მათ ინტერესებზე მორგებული აქტივობები.
- ახალგაზრდული ღონისძიებების (ტრენინგები, კონფერენციები), კლუბების (კითხვა, კინო, მოხალისეობა) არაფორმალური განათლების ხელშესაწყობად გათვალისწინებულია 180 ათასი ლარი.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

მოგმართავთ, როგორც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი. მე, როგორც რიგითი ხელვაჩაურელი, მზად ვარ, თქვენთან ერთად ვიზრუნო ხელვაჩაურის განვითარებაზე.

წლების განმავლობაში სხვადსხვა სფეროში მიღებული გამოცდილება მაძლევს შესაძლებლობას, სწორად შევაფასო მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევები და „ქართული ოცნების“ გუნდთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, შესაბამისი ნაბიჯები გადავდგა მათ საპასუხოდ.

გპირდებით, ყოველდღიურ რეჟიმში ვიმუშავებ, რათა გვქონდეს: გამართული ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მეტი პროექტი ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და სხვა მიმართულებებით.

მეამაყება, რომ ხელვაჩაურელი ვარ და მსურს, ეს სიამაყე საქმითაც განვამტკიცო.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.